თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №12

თბილისი, 13 ნოემბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:03 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ოსაძე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი თამარ ზუბაშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – გურამ მაჭარაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;
- USAID – ხათუნა კუნჭულია;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „დემოკრატიული განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“ – გოდერძი მაისურაძე;
- „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი” (ICDI) – ელენე კალანდაძე;
- „სამართლიანობის განვითარების ინსტიტუტი“ – არჩილ სოფრომაძე;
- „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;

– „მრავალეროვანი საქართველო“ – გიორგი გულიაშვილი;

– „პლატფორმა – სამოქალაქო ინიციატივა“ – მაკა ბენაშვილი;

– „სამოქალაქო ჩართულობის და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ქეთი სალაძე;

– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:03 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებული ინფორმაციის განხილვა.
2. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
3. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ განხილულ იქნა მედიამონიტორინგით გამოვლენილი ინფორმაცია, რომელზე სასაუბროდაც კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. ბატონმა ნიკოლოზმა, ოქტომბრის ბოლოს ზემო ვანში შიდაპარტიულ შეკრებაზე საბავშვო ბაღისა და სკოლის დირექტორების დაბარების საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ სოფელ ზემო ვანში მერიის წარმომადგენლის ინიციატივით შემდგარ მერიის სამსახურების თანამშრომლებისა

და სხვა უწყებების წარმომადგენელთა შეხვედრაზე განხილულ იქნა საბავშვო ბაღებში გართულებული პანდემიის პირობებში ვირუსისგან დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და ბაღებში არსებული პროდუქტების ბავშვებისთვის გადანაწილების საკითხი. უწყების წარმომადგენელი შეეხო ინფორმაციაში ნახსენებ გურიის ეპიზოდსაც ერთ-ერთ დარბაზში პროდუქტების დასაწყობებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უკვე რამდენიმე თვეა, საბავშვო ბაღებისთვის შეძენილი სასურსათო პროდუქტები ეტაპობრივად უნაწილდება მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ ბავშვებს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც, დარბაზში თავმოყრილი იყო ბავშვების მშობლებისთვის გადანაწილებული პროდუქტები და ამ შემთხვევაშიც არანაირ პარტიულ შეხვედრას და ღონისძიებას ადგილი არ ჰქონია.

ბატონმა ნიკოლოზმა შემდეგ საკითხთან („ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ხათუნა გოგორიშვილის განცხადება ჩოხატაურში ამომრჩეველზე ზეწოლის თაობაზე) დაკავშირებით, ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ განმარტებაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ რესურსცენტრის ხელმძღვანელისა და საჯარო სკოლების წარმომადგენლების კვირა დღეს შეხვედრა არანაირად არ უკავშირდებოდა არჩევნებს. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რესურსცენტრი განთავსებულია მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისა თუ რესურსცენტრის თანამშრომლებს უწევთ ერთსა და იმავე შენობაში მოძრაობა. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის გამო ინფორმაციაში მითითებულმა პირებმა სწორედ კვირა დღეს მოახერხეს სამუშაო ადგილებიდან საკუთარი ნივთების წაღება.

ზემო ვანის შემთხვევასთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე) განაცხადა, რომ საჯარო სკოლის შენობაში განთავსებულ საარჩევნო უბანზე მუშაობდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და 27 ოქტომბრის საღამოს დირექტორი ნამდვილად იმყოფებოდა სკოლაში. როგორც დირექტორისთვის შემდგომ გახდა ცნობილი, შენობაში იმყოფებოდნენ უბნის კოორდინატორებიც, მაგრამ არც კომისიის წევრები და არც კოორდინატორები არ იყვნენ მასწავლებლები. რესურსცენტრის მოკვლევით, სკოლის დირექტორების მონაწილეობა ვანში გამართულ პოლიტიკურ შეხვედრაში არ დასტურდება.

ჩოხატაურის შემთხვევის თაობაზე ქალბატონმა თამარმა წარმოადგინა ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელსაც შეხება ჰქონდა ამავე

შენობის პირველ სართულზე განთავსებული რესურსცენტრის თანამშრომლებთან, დაუდასტურდა კორონავირუსი. კანონმდებლობის შესაბამისად, პრევენციის მიზნით რესურსცენტრი 20 ოქტომბრიდან საქმიანობას ახორციელებდა ელექტრონულად, რის გამოც სკოლების ადმინისტრაციებთან კომუნიკაცია მიმდინარეობდა დისტანციურად. რამდენადაც გურიაში ვირუსის მომატებული რისკის გამო საჯარო სკოლების ადმინისტრაცია გადასულია მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, ყოველდღიურად ტარდება სასკოლო შენობების სადეზინფექციო სამუშაოები და სხვა მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებები, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან მჭიდრო კომუნიკაციას. რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ სკოლების წარმომადგენლებთან მართლაც ჰქონდა სამუშაო შეხვედრა არასამუშაო დღეებში, რაც განპირობებული იყო რესურსცენტრში კვირის ბოლოს მიღებული სახელმძღვანელოების დაუბალანსებელი მაჩვენებლით და წიგნების დათვლა-გადანაწილება სწორედ არასამუშაო დღეს მოხდა მათივე ძალებით, აქვე განაწილდა სადეზინფექციო საშუალებები სკოლის შენობებისა და სასკოლო ტრანსპორტის დასამუშავებლად; სკოლების ადმინისტრაციას გადაეცა დამატებითი თერმომეტრები. საუბარი შედგა სასწავლო პროცესისა და პრევენციის ღონისძიებების შესახებაც, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონია წინასაარჩევნო აგიტაციასთან, მითუფრო შანტაჟსა და მუქარასთან.

ბატონმა მამუკა ჯაყელმა (თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე) მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შემდგომ ინფორმაციასთან („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატების ჩამოხევის სანაცვლოდ მეეზოვეებისთვის ფულის გადახდა) დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამსახური ვერ მოახდენს რეაგირებას, თუ უშუალოდ ჩამოხევისას ფაქტზე არ წაასწრეს. მისი თქმით, შემთხვევის ადგილის სანახავად მისულ მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს პლაკატი უკვე ჩამოხეული დახვდათ.

ბატონმა გიორგი ოსაძემ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე) შემდგომ საკითხთან (სამტრედიაში „ქართული ოცნების“ ოფისთან ტელეკომპანია „ფორმულას“ გადამღები ჯგუფისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება) დაკავშირებით განაცხადა, რომ 2020 წლის 9 ნოემბერს შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა გასაუბრებები „ფორმულას“ ოპერატორსა და ჟურნალისტთან, ასევე, „ქართული ოცნების“ ორ კოორდინატორთან.

„ფორმულას“ ოპერატორსა და ჟურნალისტთან გასაუბრების ოქმიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 29 ოქტომბერს, ქ. სამტრედიაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე „ქართული ოცნების“ ოფისთან რეპორტაჟის გაკეთების დროს, ადგილზე შეკრებილმა ხალხმა „ფორმულას“ წარმომადგენლებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოითხოვა მათგან ტერიტორიის დატოვება. შეკრებილები მათ ექაჩებოდნენ ტანსაცმელზე და ხელების აფარებით ცდილობდნენ გადამღები კამერის მოშორებას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ ახდენენ ამ პირთა იდენტიფიცირებას, ოქმის ჩანაწერის თანახმად, ინციდენტის დროს მათ მიმართ სხვა რაიმე სახის ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და არანაირი დაზიანება არ მიუღიათ.

„ქართული ოცნების“ ორი მხარდამჭერის გასაუბრების ოქმიდანაც ჩანს, რომ ჟურნალისტების მიმართ არც მათ და არც მოქალაქეებს მუქარა და ფიზიკური ძალადობა არ განუხორციელებიათ; მათ, უბრალოდ, არ სურდათ თათბირის მსვლელობისას ინტერვიუს მიცემა და კადრში გამოჩენა, რის გამოც მოუწოდებდნენ ჟურნალისტებს გადაღების შეწყვეტისკენ.

მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიმყენებელი პირების გამოკვეთის შემთხვევაში, შესაძლებელია, მსვლელობა მიეცეს ადმინისტრაციული სამართალწარმოებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე. ამ ეტაპზე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გათვალისწინებული ნიშნები არ იკვეთება.

სხდომაზე, ასევე, განიხილეს უწყებათაშორისი კომისიის სახელზე შემოსული ირაკლი მელაშვილისა („საქართველოს მედია კლუბი“) და ხათუნა ციცქიშვილის („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“) განცხადებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ირაკლი მელაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით („ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრ სესილი ჭითანავასთვის ზუგდიდის საკრებულოს წევრ ოთარ ქადარიას მიერ პარტიის დატოვების სანაცვლოდ სამსახურში აღდგენის და ხელფასის მომატების დაპირება) განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2020 წლის 12 ნოემბერს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. ირაკლი ქადარიასთან ჩატარებული გასაუბრების თანახმად, სესილი ჭითანავა არის მისი მეგობარი და ნათესავი. ირაკლი მელაშვილის მიერ განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებები ირაკლი ქადარიამ უარყო და განმარტა, რომ მას სესილი ჭითანავასათვის რაიმე სახის შეთავაზება პარტიის დატოვების სანაცვლოდ ანაზღაურების მომატებისა და სამსახურში აღდგენის სახით არასოდეს გაუკეთებია.

უწყების წარმომადგენლის თქმით, 2020 წლის 12 ნოემბერს გამომძიებელი გასაუბრების მიზნით დაუკავშირდა სესილი ჭითანავას, რომელმაც განმარტა, რომ იყო კოვიდინფიცირებული. მკურნალობის დასრულების შემდეგ ირაკლი მელაშვილის მიერ განცხადებაში მოყვანილი გარემოებების თაობაზე კვლავ შედგება სესილი ჭითანავასთან გასაუბრებაც, რის შემდეგაც მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილება.

ხათუნა ციცქიშვილის განცხადებასთან („შენების მოძრაობიდან" ხარაგაულის საკრებულოს დეპუტატ მიხეილ ჭიპაშვილის მიერ ხათუნა ციცქიშვილის მიმართ მუქარისა და ზეწოლის განხორციელება) დაკავშირებით ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ 2020 წლის 20 ოქტომბერს ხარაგაულის რაიონულ სამმართველოში შესული განცხადების საფუძველზე გამოკითხულ იქნა თვით განცხადების ავტორი, სოფელ ისლარის საარჩევნო უბნის უფროსი ხათუნა ციცქიშვილი, რომლის განმარტებითაც, „ლელოს" ხარაგაულის მერობის კანდიდატ მიხეილ ჭიპაშვილსა და მას შორის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, მიხეილ ჭიპაშვილი ეკითხებოდა ციცქიშვილს, რატომ უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას". მისივე განმარტებით, მიხეილ ჭიპაშვილი „საარჩევნო ყუთის ვერგატანაში" გულისხმობდა, რომ სოფელ ისლარში ის აუცილებლად მოიგებდა არჩევნებს. აღნიშნულ გარემოებებს ადასტურებენ თვითმხილველი მეზობელი ნუგზარ ჭიპაშვილი და მიხეილ ჭიპაშვილის მძღოლი რამაზ ჩხიკვაძე. საქმეზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც მიღებული იქნება კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიუბრუნდა წინა სხდომაზე განხილულ საკითხებს, რომლებზეც შესაბამის უწყებებს უნდა მოეწოდებინათ საბოლოო დაზუსტებული ინფორმაცია.

როგორც ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა „ევროპული საქართველოს" წევრ ბესიკ დონაძის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან („ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ჩიქოვანის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება) დაკავშირებით აღნიშნა, ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეისწავლა საკითხი და დადგინდა, რომ საარჩევნო სუბიექტის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

ბოლნისში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კახა ოქრიაშვილის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „ძალა ერთობაშია") მხარდამჭერზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში ძალადობის მუხლით (126-ე

მუხლი). საქმის ფარგლებში იკითხებიან მოწმეები, თუმცა, ამ ეტაპისთვის შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ბატონმა გიორგიმ დამატებით დააზუსტა, რომ გამოძიება დაწყებულია როგორც ძალადობის მუხლით, ისე შესაძლო ძალადობის განმახორციელებლის მიმართ მუქარის ფაქტზე.

ცესკო-ს წარმომადგენელმა ისაუბრა ხონის სამუსიკო სკოლაში პედაგოგების განათლების მინისტრთან შეხვედრის თაობაზე, რომელსაც ესწრებოდა „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გივი ჭიჭინაძე. ბატონი გიორგის თქმით, ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შეხვედრა იყო მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული ხასიათის და საუბარი ეხებოდა ხონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა და ინფრასტრუქტურულ საკითხებს; არც მინისტრისა და არც პედაგოგების მხრიდან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა.

რაც შეხება სკოლის პედაგოგების შეხვედრაში მონაწილეობის საკითხს, როგორც „ფორმულას" სიუჟეტიდანაც ირკვევა, შეხვედრა გაიმართა გვიან ღამით და არა სამუშაო საათების განმავლობაში ან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, რაც არ წარმოადგენს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევას.

შესაბამისად, არ დასტურდება არც აგიტაციის წესების დარღვევის და არც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი.

ზემოგანხილული საკითხების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლის დასწრებას (კომისიის წინა სხდომაზე საარჩევნო უბნებზე პერსონალური მონაცემების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად კომისიის მუშაობაში ჩართვის მიზნით კომისიის სამდივნოს მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს გაეგზავნა მოწვევა) და მიმართა ქალბატონ თამარ ზუბაშვილს, ხომ არ ჰქონდა წარმოსადგენი არჩევნების პროცესთან დაკავშირებული რაიმე ისეთი ინფორმაცია, რომელზე ყურადღების მიპყრობაც საჭირო იქნებოდა უწყებათაშორისი კომისიისთვის.

ქალბატონმა თამარმა ისაუბრა არჩევნების პროცესთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის მხრივ გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე. 30 ოქტომბერს ტვ „პირველის" მიერ გავრცელებულ სიუჟეტთან მიმართებით (ჩოხატაურის ორ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა პირადი ნომრების და ფოტოსურათების გამოქვეყნების საკითხი) მან აღნიშნა, რომ დაწყებულია

დასახელებული საკითხის შესწავლა და საარჩევნო ადმინისტრაციას მოსთხოვეს ინფორმაციის წარმოდგენა 16 ნოემბრამდე. შესაბამისად, ჯერჯერობით მიმდინარეობს შემოწმება.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია.

ქალბატონმა ელენე კალანდაძემ („დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“) აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს თბილისის მასშტაბით რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიის ფარგლებში მყოფ უბნებზე თბილისის მასშტაბით „ნიუპოსტის“ წარმომადგენლები იღებდნენ ამომრჩევლების სახეებს ამ უკანასკნელთა მიერ რეგისტრატორთან პირბადის მოხსნისას და, როგორც თავად განმარტავდნენ, ეს იყო, უბრალოდ, სკანირება. ქალბატონი ელენეს თქმით, ზემოაღნიშნული ფაქტები პერსონალური მონაცემების დაცვის მხრივ წარმოადგენდა დიდ დარღვევას. მან კითხვა დაუსვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენელს, თუ ფლობს მისი უწყება ინფორმაციას ზემოაღნიშნულის შესახებ და თუ შეისწავლეს მსგავსი ფაქტები.

ამავე საკითხზე ისაუბრა ქალბატონმა მაკა ბენაშვილმა („პლატფორმა – სამოქალაქო ინიციატივა“). მისი თქმით, არა მხოლოდ თბილისში, ზუგდიდშიც მასობრივი შემთხვევები იყო და „ნიუპოსტის“ წარმომადგენლები არათუ სახეების სკანირებას ახდენდნენ, არამედ არღვევდნენ ფოტოვიდეოგადაღების წესსაც.

როგორც ქალბატონმა თამარ ზუბაშვილმა აღნიშნა, მას ამ ეტაპზე არ ჰქონდა ზემოდასახელებული ფაქტების შესახებ ინფორმაცია და სრულყოფილ პასუხს წარმოადგენდა შემდგომ სხდომაზე.

ბატონი დავით ლილუაშვილი („საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“) დაინტერესდა, ხომ არ იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შესული ცესკო-ს შენობასთან გამართული აქციისას მომხდარი ინციდენტების შესახებ რაიმე საჩივარი ან განცხადება.

ქალბატონმა თამარ ზუბაშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შევიდა ოთხი შეტყობინება შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, რომლებზეც სამსახურმა დაიწყო გამოძიება. ცესკო-დან გამოთხოვილია სათვალთვალო კამერები. საქმეზე გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები და ჯერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება.

ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“) ცესკო-ს წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია ცესკო-ში შესული საჩივრების რაოდენობისა და მათი განხილვის ეტაპების მითითებით. მან ასევე ყურადღება გაამახვილა არჩევნების მეორე ტურის შესაბამის პირობებში ჩატარების მნიშვნელობასა და სერიოზულობაზე. ბატონმა ვლადიმერმა, წინა სხდომის მსგავსად, კომისიის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებით წინასაარჩევნო პერიოდისთვის საჯარო მოხელეებს კვლავ შეახსენონ მათი უფლება-მოვალეობები.

ბატონმა გიორგი კლანდარიშვილმა ბატონი ვლადიმერ ბოჟაძის საპასუხოდ განაცხადა, რომ კენჭისყრის დღეს და შემდგომ დღეებში ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში შევიდა 1941 საჩივარი, რომელთაგან პოლიტიკური გაერთიანებების იყო 1252, ხოლო სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესაბამისი დამკვირვებლების – 561. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სუბიექტების მიერ დაწერილი 901, ხოლო სადამკვირვებლო ორგანიზაციების 126 საჩივარი დარჩა განუხილველი. ცესკო-ს წარმომადგენლის განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საჩივრების განუხილველობის კონკრეტული საფუძვლები, თუმცა, განუხილველ საჩივრებს, რომლებშიც ასახულია ისეთი არსებითი დარღვევები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე, საოლქო საარჩევნო კომისიები საკუთარი ინიციატივით შეისწავლიან და ამის საფუძველზე მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. მისივე თქმით, გადაითვალა 39 საარჩევნო უბნის შედეგი როგორც პროპორციულ და მაჟორიტარულ ნაწილში, ისე გადასატან ყუთებთან მიმართებით. ბატონი გიორგის განცხადებით, 6 უბნის გადათვლა განხორციელდა საუბნო საარჩვნო კომისიების ინიციატივით, 14-ის გადათვლა – საჩივრების საფუძვლზე, ხოლო 19-ის – სასამართლოების გადაწყვეტილების საფუძველზე. როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, ეს მაჩვენებელი არ არის საბოლოო, რადგან გუშინაც იყო შემოსული აპელაციები საჩივრებზე და, შესაბამისად, მათ საფუძველზე განახლდება მონაცემები. ცესკო-ს წარმომადგენლის თქმით, გადათვლები შეეხებოდა 24500-მდე ხმას. შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ 2 დღის წინ საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეაჯამეს შესაბამის მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების შედეგები, რომლის გასაჩივრების ვადა, კანონმდებლობის თანახმად, არის ერთი დღე. გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა 110 საჩივარი. აქაც საჩივრის განხილვის განხილვის ვადა არის ერთი კალენდარული დღე. ამასთან, დაინიშნება ცესკო-ში კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილება ეს საჩივრები.

ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა (ფინანსთა მინისტრის მოადგილე) ცესკო-ს წარმომადგენელს მიმართა, მოეწოდებინა კომისიისთვის ინფორმაცია, 39 საარჩევნო უბნის გადათვლის შედეგად

რომელ პოლიტიკურ პარტიას დაუზუსტდა პროპორციულ ნაწილში ხმების რაოდენობა. როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, ამ ეტაპზე მას არ აქვს მოთხოვნილი ინფორმაცია და ეცდება, მომდევნო სხდომისთვის წარმოადგინოს სრული მონაცემები.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი") დადებითად შეაფასა ცესკო-ს მიერ საარჩევნო უბნებზე გაწეული საორგანიზაციო საკითხები და აღნიშნა, რომ უმაღლეს დონეზე იყო დაცული ამომრჩეველთათვის პანდემიასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები. მან ასევე ისაუბრა თბილისის სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში შესულ საჩივრებზე, რომლის საფუძველზე მოხდა საარჩევნო უბნების გახსნა და ბიულეტინების ხელახლა გადათვლა. მისი თქმით, საბურთალოს N3 საარჩევნო ოლქში შევიდა სულ 136 საჩივარი, რომელთაგან განხილულია 54 საჩივარი, ხოლო დანარჩენი დარჩა განუხილველი. ბატონმა დანიელმა განაცხადა, რომ ზოგიერთმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიაში არ შეიტანეს საჩივრები და მომდევნო ან არჩევნების შემდეგ დღეებში ვადაგადაცილებით პირდაპირ საოლქო საარჩევნო კომისიებს მიმართეს, რაც მისი თქმით დაუშვებელია. მან განაცხადა, რომ საჩივრები იყო უსაფუძვლო და უარი მათ სამართლიანად მიიღეს. ამასთან, ბატონმა დანიელ დავითაშვილმა კომისიის სხდომაზე დამსწრე „არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანების" წარმომადგენელთა საყურადღებოდ განაცხადა, რომ დაეზუსტებინათ – იმ საარჩევნო უბანზე, რომელზეც მათი ორგანიზაციის დამკვირვებელი იმყოფებოდა და შეესწრო პერსონალური მონაცემების შესაძლო დარღვევას, შეიტანეს თუ არა საჩივრები საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ქალბატონმა ელენე კალანდაძემ („დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი" (ICDI)) განაცხადა, რომ მან, როგორც „არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანების" დამკვირვებელმა, თავად დაწერა საჩივარი საარჩევნო უბანზე ზემოხსენებული ფაქტის დაფიქსირების თაობაზე. ამასთან, მისი თქმით, საოლქო საარჩევნო კომისია მყისიერად იყო ინფორმირებული საჩივრის შესახებ, რომელმაც უმალვე აღმოფხვრა საჩივარში ასახული კონკრეტული დარღვევა.

კომისიის თავმჯდომარემ, როგორც წინა სხდომაზე, დამსწრეთა საყურადღებოდ აღნიშნა, რომ ინსტიტუციური დემოკრატიის მახასიათებელია, როდესაც შედგება სამართლიანი არჩევნები და ის ჩამოყალიბდება ჩვეულებრივ პრაქტიკად. საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი არის საარჩევნო კულტურა, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა – იქნები ოპოზიცია, მმართველი პოლიტიკური პარტია თუ არჩევნების პროცესში ჩართული სუბიექტი. საარჩევნო კულტურა ერთიანად საზოგადოებისაა და ყოველი ჩვენგანის ქმედება და ჩართულობა ქმნის ამ

საარჩევნო კულტურას და წარმოდგენას ჩვენზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი პასუხისმგებლობა საზოგადოებისადმი და მთლიანად სახელმწიფოს მიმართ არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია") ცესკო-ს წარმომადგენელს მიმართა კითხვით – ჰქონდა თუ არა რეაგირება ცესკო-ს 31 ოქტომბრის არჩევნებზე იმ სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებზე, რომლებიც აწყობდნენ უბნებზე პროვოკაციას და არღვევდნენ წესებს; ამასთან, ხომ არ გაუუქმდებათ ასეთ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს სტატუსი.

ბატონი გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, მართლაც იყო ასეთი ფაქტები საარჩევნო უბნებზე ზოგიერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან. რაც შეეხება ბატონი გაგნიძის კითხვას, სამწუხაროდ, ცესკო-ს მანდატში არ შედის და არც საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ასეთ შემთხვევებზე ცესკო-მ მოახდინოს რეაგირება ან/და ამ ორგანიზაციებს გაუუქმოს სადამკვირვებლო სტატუსი. ცესკო-ს აქვს ბერკეტი, რომ საარჩევნო პროცესები მაქსიმალურად გამჭირვალედ წარმართოს.

კომისიის თავმჯდომარემ შემაჯამებელ სიტყვაში კვლავ მოუწოდა კომისიის წევრებს, რომ დაედასტურებინათ (საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინ) ის რეკომენდაციები, რომლებიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ გამოსცა. მან მოუწოდა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებს, მათ შორის, რესურსცენტრებსა და სკოლებისა და ბაღების პედგოგებს, ასევე, პოლიტიკურ პარტიებს, რომ არჩევნების მეორე ტურის წინ ზედმიწევნით გაითვალისწინონ უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოცემული რეკომენდაციები. ბატონმა გოჩამ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და აღნიშნა, რომ ასეთი დისკუსიები და განსხვავებული პოზიციები უფრო ეფექტურს ხდის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას. მან, ასევე, მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს კომისიის საქმიანობაში ჩართვისკენ.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის მომდევნო თარიღად გამოცხადდა 2020 წლის 20 ნოემბერი, 11:00 საათი.

სხდომა დასრულდა 12:36 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: